მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივნისი
თამუზი
№6 (442)
(5778)
2018

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

საიუბილეო მილოცვა „მენორას“

ებრაული გაზეთი „მენორა, რომელიც 25 წელია გამოდის საქართველოში, პოპულარობით სარგებლობს ებრაელებს შორის როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის ქვეყნებში. ეს გაზეთი გახდა თემის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

სიმბოლურია, რომ დღეს ამ გაზეთის იუბილეს ისრაელის მიწაზე აღნიშვნა სიმბოლურად და ეს დამაჯერებელი მინიშნებაა იმისაკენ, რომ მთელი მსოფლიოს ებრაული თემების ცხოვრება განუყოფლადაა დაკავშირებული ებრაელთა სახელმწიფოსთან.

გვინდა დიდი სიამოვნებით მივულოცოთ გაზეთსა და მის დამფუძნებელს, სულისჩამდგმელსა და რედაქტორს გურამ ბათიაშვილს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი. მსოფლიოს ებრაელობა ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლობას. „მენორას“ რედაქტორს სულითა და გულით ვუსურვებთ მრავალწლიან შემოქმედებით წარმატებას. გულითადად ვუსურვებთ, რომ შესანიშნავ გაზეთ „მენორას“ მკითხველთან მრავალი წლის განმავლობაში მიჰქონდეს ებრაული განათლება და კულტურა.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი
გენერალური დირექტორი ხაიმ ბენ იაკობი

EMBASSY OF ISRAEL
TBILISI

שגרירות ישראל
טביליסי

თბილისი, 29 მაისი, 2018

გაზეთ „მენორას“ დამფუძნებელს

და მთავარ რედაქტორს

ბატონ გურამ ბათიაშვილს

მსურს, გულწრფელად მივულოცო გაზეთ „მენორას“ და მის კოლექტივს 25 წლის იუბილე.

25 წელი ანუ მეოთხედი საუკუნე, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიაა გაზეთისთვის, რაც მის აქტუალობასა და კოლექტივის მაღალპროფესიონალიზმზე მიუთითებს. ისრაელის სახელმწიფოს შექმნიდან 70 წლის შესრულებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის თარიღების საზეიმო განწყობის ფონზე, გაზეთ“მენორას“ 25 წლის იუბილის ისრაელში მაღალ დონეზე აღნიშვნა მეტად სიმბოლურია.

ამ წლების განმავლობაში „მენორამ“ ჟურნალისტიკის მაღალი სტანდარტი, თავდაუზოგავი შრომისა და პროფესიონალიზმის მაგალითი გვაჩვენა. ეს გაზეთი არა მხოლოდ ებრაული თემის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ამსახველი იყო და არის.

ვულოცავ გაზეთის დამფუძნებელს და მთავარ რედაქტორს, ბატონ გურამ ბათიაშვილს და მომავალ წარმატებებს ვუსურვებ. „მენორა“ კიდევ მრავალი წელი უნდა იდგეს ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი ისტორიული მეგობრობის განმტკიცებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურად ასახვის სადარაჯოზე.

შაბთაი ცური

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი

ელჩი საქართველოში

SHABTAI TSUR שבתאי צור
AMBASSADOR שגריר

154, Agmashenebeli ave., Tbilisi 0112, Georgia; Tel: (995 32) 2 556 500: Fax: (995 32) 2 556 544
Web site: tbilisi.mfa.gov.il; E-mail: press@tbilisi.mfa.gov.il

ძვირფასო გურამ,

გილოცავთ „მენორას“ 25 წლისთავს. პირადად თქვენი და თქვენი კოლექტივის დამსახურებაა ერთის მხრივ ორ უძველეს ქვეყანასა და ერს შორის უნიკალური, ახლო ურთიერთობის გაღრმავება-განმტკიცება და მეორის მხრივ ჩვენი თემის ღირსეული წარსულისა და აწმყოს გამომზეურება

გისურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს!

თქვენი ეფრაიმ გური

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბ-ნ შაბთაი ცურს

ბატონო ელჩო,

თავს ვალდებულად მივიჩნევ, გულითადი მადლობა მოგახსენოთ ქართულენოვანი ებრაული გაზეთის „მენორას დაარსებიდან 25 წლისთავის მოლოცვის გამო.

თქვენი მოლოცვა სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.

დღეს, როდესაც საქართველოს ებრაელობის მაქსიმალური უმეტესობა ისრაელში გახლავთ რეპატრირებული, „მენორა“ ცდილობს ასახოს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ისრაელში თავმოყრილ, სხვა ქვეყნებში მიმოფანტულ ქართველ ებრაელთა ყოფა.

და თუ ისრაელის საელჩო საქართველოში ამ მიმართებით გაზეთს დაეხმარება, ერთობლივად კარგ საქმეს გავაკეთებთ--ადრეულ წლებში „მენორასთან“ საელჩოს თანამშრომლობა დადებითად აისახებოდა ისრაელის ამბების, საელჩოს მუშაობის, ისრაელის მიღწევათა პროპაგანდის საქმეზე. ყოფიერების სხვადასხვა სფეროში ისრაელის წარმატებათა გამომზეურება კი უცილობელ საქმედ მიგვაჩნია.

„მენორა“ დაარსების დღიდან იყო და რჩება ქართველი ებრაელობის მიღწევათა პოპულარიზატორად, წარმოაჩენს მის პატიოსან, ღირსეულ შვილთა ღვაწლს საქართველოსა, თუ ისრაელის წარმატებაში, ჩვენი ძმების, დების, შვილების ჩინებულ ადაპტაციას ახალ გარემოში, კვლავაც ამხელს მედროვეებს, ეროვნული ფასეულობებისაგან განძარცულ ვითომ ლიდერებს — ესენი სარგებლობენ რა ქართველი კაცის მიმნდობი ბუნებით, სახელმწიფო ინსტანციებს წარუდგებიან, როგორც ებრაელთა ღირსეული, უცილობელი წარმომადგენლები.

მინდა გაუწყოთ, რომ ისრელის ქართველმა ებრაელობამ გულმხურვალედ აღნიშნა „მენორას“ დაარსების 25 და ჩემი დაბადების 80 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე წაკითხული იქნა „მენორასადმი“ თქვენი მოლოცვა, რომელსაც აუდიტორია გულთბილად შეეგება.

ყველაფერი ეს „მენორას“ ერთობ მცირერიცხოვან კოლექტივს მხნეობას მატებს.

გისურვებთ წარმატებას საქართველოში ისრაელის მიღწევების წარმოჩენის, საქართველოს და ისრაელის მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავების ფრიად კეთილშობილურ საქმეში.

გურამ ბათიაშვილი

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

დიდი საიუბილეო საღამო აღთქმულ მიწაზე

მოსაწვევი ბარათი ადამიანებს საქართველოში გამომავალი ებრაული გაზეთის — ,,მენორას“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 25-ე წლის საიუბილეო საღამოზე იწვევდა, მაგრამ ზეიმის დასაწყისშივე — ღირსების ორდენოსანი პედაგოგისა და ისრაელის ქართველ ებრაელთა არეალში (ცხადია, საქართველოშიც!) კარგად ცნობილი საღამოს წამყვანის — **ლია კრიხელის** შესავალ სიტყვაშივე გაცხადდა, რომ ვერც სხვა ფაქტს აევლებოდა გვერდი: მწერალსა და დრამატურგს, ცნობილ მოღვაწეს გურამ ბათიაშვილს ახლახან 80 ნელი შეუსრულდა. ამით გახლდათ განპირობებული ის, რომ ლია კრიხელმა შეკრებილთ გურამ ბათიაშვილზე ადინ შტაინზალცის მოსაზრება გააცნო. ეს თემა განაგრძო კავკასიის ქვეყნებში „ჯოინთის“ პირველმა წარმომადგენელმა, ,,მენორას“ დაარსების ერთ-ერთმა მოთავემ და იუბილეს ორგანიზატორთაგანმა **მენახემ ელაზარმა**, მ. ელაზარმა მიმოიხილა გარდასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგის საქართველოს ყოფა და ისაუბრა იმ ერთობ მნიშვნელოვან წამოწყებებზე, რომელიც იმდროინდელ საქართველოში „ჯოინთის“ სახელს უკავშირდება, დღესაც მონაპოვრად ითვლება და ამ პროცესში გურამ ბათიაშვილის როლსა და ადგილზეც გაამახვილა ყურადღება.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა მთარგმნელმა **შალომ დავიდმა**, რომლის მეოხებითაც ქართულენოვანი მკითხველი გაეცნო და კვლავაც გაეცნობა ებრაული კლასიკური მემკვიდრეობის შედევრებს.

ლია კრიხელმა წაიკითხა საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის **შაბთაი ცურის** მილოცვა-მისალმება, რომელიც მან გ. ბათიაშვილს ,,მენორას“ 25 წლისთავთან დაკავშირებით გამოუგზავნა.

საიუბილეო საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორი ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი **მიხეილ მირილაშვილი** საღამოს არ ესწრებოდა — იგი პრაღაში გახლდათ, სადაც მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა ანტისემიტიზმის საკითხებს განიხილავდა, იქ ვრცელი სიტყვაც წარმოთქვა, საიუბილეო საღამოს კი მოლოცვით მოაწვდინა თავისი ხმა.

საიუბილეო საღამო ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის — ბ-ნი **პაატა კალანდაძის** პატრონაჟით ტარდებოდა. ბატონი ელჩი განსაკუთრებით დაინტერესებული გახლდათ, ,,მენორას“ ბიოგრაფია სრულად წარმოჩენილიყო. ამ ბიოგრაფიაში კი საყურადღებოა ერთი გარემოება — მეოთხედი საუკუნის განმავლობაში გაზეთს არასოდეს არ ჰქონია წინააღმდეგობა საქართველოს სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან. ბ-მა ელჩმა თავის გამოსვლაში ისაუბრა ,,მენორას“ როლსა და ადგილზე ქართველ ებრაელთა ყოფის წარმოჩენაში, ქართულ-ებრაული ურთიერთობის განვითარების უზადო საქმეში, ხოლო ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა **რეუვენ ენოხმა** თავისი გამოსვლა ძირითადად გურამ ბათიაშვილის შემოქმედების განხილვას მიუძღვნა — აღნიშნა, რომ ამ მწერლის ნაწარმოებთა ერთ-ერთი პირველი მკითხველია, კონსულტაციას უწევს მას, მწერალი მის მოსაზრებას ხშირ შემთხვევაში იზიარებს, ზოგჯერ კამათიც არის, ე.ი. არის შემოქმედებითი პროცესი. მეცნიერმა ისიც აუწყა მსმენელს, რომ მწერლის ახალი რომანი ,,ელიგულა და ხავა “სწორედ მისი რედაქტორობით გამოვიდა.

ისრაელის ქნესეთის სამგზის დეპუტატი, ცნობილი მოღვაწე **აბრამ მიხაელი** საუბრობს ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე, ,,მენორას“ ადგილზე დღევანდელი ქართველი ებრაელობის ცხოვრებაში, გურამ ბათიაშვილთან ურთიერთობაზე, რომელსაც საუკუნის დასაბამს, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის შექმნის პროცესში დაედო სათავე.

საყურადღებო გახლდათ ქართველი ებრაელობის ახლადარჩეული მთავარი რაბინის **იაკობ გაგულას** მრავალმხრივ საინტერესო გამოსვლა. მან ისაუბრა საქართველოს ებრაელობისათვის გაზეთის მნიშვნელობაზე, იმ ზნეობრივ პრინციპების პოპულარიზაციაზე, რომელიც ესოდენ საჭიროა თანამედროვე ადამიანისათვის, ყურადღება გაამახვილა ზნეობრიობის საკითხზე. პროფესორმა **მოსე დანიელაშვილმა** ისაუბრა იმ ურთიერთობაზე, რომელიც მას თითქმის დაარსების დღიდან აკავშირებს გაზეთ ,,მენორასთან“, თუ როგორ ცდილობდა და ცდილობს გაზეთი ქართველი ებრაელობის ღირსეულ პირთა წარმოჩენას.

პროფესორ **ისაკ ელიშაკოვის** გამოსვლას მისივე შემოთავაზების გათვალისწინებით წინამდებარე ნომერში ვაქვეყნებთ და მკითხველი თავად გაეცნობა, ჩვენ მაინც გამოვყოფთ მისი გამოსვლის ერთ ფრიად მნიშვნელოვან პასაჟს: ი. ელიშაკოვმა ერთობ მხატვრულად და სხარტად გამოხატა ქართველი ებრაელობის სურვილი საქართველოს ხელისუფლება მალე შეუერთდეს იმ მოწინავე სახელმწიფოთა რიგებს, რომლებმაც იერუსალიმი ისრაელის განუყოფელ და მარადიულ დედაქალაქად აღიარესო.

პროფესორ **მერაბ სარელის** გამოსვლის ძირითადი თემა გურამ ბათიაშვილის შემოქმედებაში გამოხატული ქართველი ებრაელობის, ქართული სამყაროს სიყვარული და პატივისცემა გახლდათ. იგი ასევე შეეხო მწერლის პიროვნულ თვისებებს: ხაზი გაუსვა მის უკომპრომისობას და გამოსავლის დიპლომატიური თამაშის გზით პოვნაზე უარის თქმას.

ერთობ საინტერტესო გამოდგა გამოჩენილი ქართველი ებრაელი კომპოზიტორის **იოსებ ბარდანაშვილის** და გურამ ბათიაშვილის დიალოგი — კომპოზიტორი მწერლის წინაშე სვამდა თანამედროვე ებრაელობის ყოფის მნიშვნელოვან საკითხებს კი გ. ბათიაშვილი იქვე პასუხობდა.

ისრაელში ახლადჩამოყალიბებული ქართული დიასპორის არასამთავრობო ორგანიზაციის — „მამული“ — ხელმძღვანელმა ირაკლი კილაძემ გურამ ბათიაშვილს მიულოცა საიბილეო თარიღი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

მსახიობმა **ნანა ბერაძემ** და ლია კრიხელმა წაიკითხეს ნაწყვეტები გურამ ბათიაშვილის რომანებიდან და ესეებიდან.

ცნობილი მევიოლინე მიხეილ ბრონსკი ვიოლინოზე ებრაულ და კლასიკურ მელოდიებს ასრულებდა.

საღამოზე ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები გურამ ბათიაშვილის პიესების მიხედვით საქართველოს თეატრებში განხორციელებული ზოგიერთი სპექტაკლიდან: ,,ვალი“, ,,შეთქმულება“, სიყვარულის თამაში“, ,,სამშობლო მცირეთა და მრავალთა“ და სხვ. ასევე ნაჩვენები იქნა ნაწვეტები გურამ ბათიაშვილის სცენარების მიხედვით

დადგმული კინოფილმებიდან ,,დაგვიანებული კადიში“ და ,,თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!“

„მენორა“-ს რედაქცია მადლობას მოახსენებს:

*** ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესს იუბილეს გამართვის საქმეში დახმარებისათვის.**

*** საქართველოს საელჩოს ისრაელში თანადგომისათვის.**

*** ქართული დიასპორის ორგანიზაციას „მამული“.**

*** ყველა იმ ორგანიზაციას და პიროვნებას, რომლებმაც მიულოცეს დაარსების 25 წლისთავი.**

*** ქ-ნ ლია კრიხელს ისრაელში საიუბილეო ღონისძიების მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის.**

ვინა თქვა წიგნი აღარ უყვართო?!

9 ივნისი, დაუვიწყარი დღე. მწერალს გაბრწყინებულ — გაბადრული სახეებით ეგებება. "ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში", რომელიც ქართველმა ემიგრანტებმა დავაფუძნეთ გურამ ბათიაშვილს მოეფერა. მკითხველმა „ვალი" დაუბრუნა მწერალს — სიყვარულის ვალი. ვალის დაბრუნებაც ის არის, რომ კითხულობენ და ახსოვთ. ერთ მშვენიერ დღეს კი თუნდაც ემიგრანტობის უმძიმეს რეჟიმში შემოქმედებით საღამოს მოუწყობენ. აბზაც-აბზაც, ფრაზა-ფრაზა წაუკითხავენ ციტატებს მისივე რომანებიდან, პიესებიდან, პუბლიკაციებიდან. მადლობას გადაუხდიან, იმის გამო, რომ მისი შემოქმედებიდან გაიღრმავეს სამყაროს სიყვარული, ისწავლეს ადამიანების გაფრთხილება, გვერდში მდგომის დანახვა საუკეთესო კუთხიდან. სხვათა სიკეთის აღიარება. ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ფასეულობები მსოფლიოს მრავალეროვან ურთიერთობათა ფონზე. ხაზგასმით აღნიშნავენ, მისი დამსახურებით, ქართული თეატრების წარმატებებს საერთაშორისო ფესტივალებზე. იქნებ, არ ელოდა მწერალი ამდენ თაყვანისმცემელს?! გამომსვლელები ერთმანეთს ენაცვლებიან, კითხვებს უსვამენ. ბატონი გურამი სიამოვნებით გადადის მოგონებებში და პასუხობს შეკითხვებს. იხსენებს უდიდეს შემოქმედ, მოღვაწე ხალხს, რომელთა მხრებზე და სინდისზე იდგა ქართული მწერლობა, ქართული თეატრი. დრო და დრო საუბარში ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი, მანანა დუმბაძე ერთვება. ჩვეული იუმორითა და ხალისით კურიოზებს ახსენებს მწერალს, რომელიც მამისგან ახსოვს. მსახიობი და რეჟისორი ქალბატონი ნანა ბერაძე, რომელიც ამჟამად ისრაელის მოქალაქეა, მრავალი წლის შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ბატონ გურამთან, ჩვეული არტისტიზმით კითხულობს მწერლის რომანების ეპიზოდებს. საყვარელ ნოველებს წაიკითხავს ქალბატონი ლია კრიხელი და ასევე საქართველოში ცხოვრებისას იმ საინტერესო დეტალებს გაიხსენებს, რაც მწერლის შემოქმედებასთან აკავშირებდა. ღიმილიან სიტყვას მიუძღვნის ქალბატონი ზიზი შაფთოშვილი. მაყურებელთაგან ჭედურობის დიდოსტატი დავით მანაშეროვი წამოიჭრება, გადაეხვევა და საკუთარი ხელით შექმნილ ვერცხლის თასს უძღვნის საჩუქრად, რომლის ფონზე იერუსალიმის ოქროსფერი ხედებია გამოკვეთილი, თბილისში რომ ჩამოვალ ამ თასით საქართველოს სადღეგრძელო ერთად დავლიოთო უთხრა ოსტატმა მწერალს. მაყურებელს ჟროჟრლამ გადაუარა, თვალზე ცრემლი მოადგა, რაღაღცნაირი ცრემლი, იდუმალი და მრავლისმთქმელი. ბატონ დავითს ტოლი არ დაუდო მისმა დამ, მხატვარმა ქალბატონმა იოჰევედ მანაშეროვა-იოსებაშვილმა, რომელიც ქართული ხელოვნების ცენტრში დაფუძნებისთანავე სამხატვრო ხელმძღვანელად ავირჩიეთ, რადგან ცენტრი გარდა ემიგრანტებთან მუშაობისა, ქართულ-ებრაული ურთიერთობის გაძლიერებასაც ისახავს მიზნად. როცა ქალბატონმა იოჰევედმა საჩუქარს ქაღალდი შემოხსნა, მწერალი და მაყურებელი ერთდროულად გაოცებული დარჩა სიმბოლური დამთხვევით,რადგანმისივეხელითშესრულებული საჩუქარი, თამარ მეფის პორტრეტი იყო და სწორედ იმ დროს ბატონი გურამი მაყურებელთან ერთად საუბრობდა თავის რომანზე „ჟამი დუმილისა და ჟამი უბრობისა", რომელიც ასახავს თამარ მეფის ეპოქას. მაყურებელთა შორის იმყოფებოდნენ ზურაბ პოპიაშვილი, გოჩა ბაბუნაშვილი, კობა ბერიძე და მამუკა ლორთქიფანიძე — თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილეები, ამჟამად ემიგრანტები, რომლებიც მოწიწებით ისმენდნენ ყველაფერს, თუმცა, თავიანთი სიტყვა ოთხივემ საფერავით შევსებულ სასმისებში თქვეს, როცა მწერალი გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟეს. მადლობა გადაუხადეს იმისათვის, რაც ეროვნებით ებრაელმა გურამ ბათიაშვილმა ქართულ მწერლობასა და თეატრს შეჰმატა და თავისი მოღვაწეობით მუდამ იდგა ორი ერის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის სადარაჯოზე. ქართული ხელოვნების ცენტრმა, სამახსოვროდ გადასცა მისალოცი ბარათი, სადაც იუბილარ მწერალს ასევე ულოცავდა გაზეთ "მენორას" დაარსებიდან 25 წლისთავს. ბატონმა გურამ ბათიაშვილმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორსა და წამყვანს "ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში" დამფუძნებელს მარინა გელაშვილს, დირექტორს ბატონ ზურაბ ბერიაშვილს და იმ ქართველ ემიგრანტებს, რომლებსაც ემიგრაციის უმძიმეს პირობებშიც კი ახსოვთ და უყვართ მისი შემოქმედება.

თამარ ქართველიშვილი

გაუმარჯოს ისრაელს! გაუმარჯოს საქართველოს!

პროფესორ ისააკ ელიშაკოვის (აშშ) გამოსვლა. 7 ივნისი, ბათ-იამი.

ისრაელის ქნესეთის პატივცემულო წევრო,

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანო პატივცემულო ელჩო,

პატივცემულო გურამ,

პატივცემულო საზოგადოებავ,

მოგესალმებით,

ფრიად სასიამოვნოა, რომ ამერიკიდან მოვლინებულ,ისრაელის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუმარ პროფესორს საშუალება მომეცა მოგილოცოთ ეს სასიამოვნო იუბილეები. პირველ რიგში მწადია ციტირება გავაკეთო ადამიანისა, რომელიც, ალბათ, ყველაზე მეტად აკავშირებს ისრაელსა და საქართველოს.

რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის ძლიერითა.

დიდი შოთა უფლისადმი მადლიერებით იწყებს პოემას. დიდი მადლობა უფალს, რომ გაზეთი „მენორა ოცდახუთი წელია არსებობს და ვუსურვებთ გურამის ხელმძღვანელობით კვლავაც დიდხანს გამოდიოდეს!

შოთას ზემოთმოყვანილ სტრიქონებში განსაკუთრებით გამოვყოფ ერთ სტრიქონს: „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა. ებრაელებს ღმერთმა უბოძა ერეც ისრაელი, რომელშიც ბევრი ქვაა. ეს იმიტომ რომ ეს ქვეყანა სხვებს არ მოსწონებოდათ და აქ სამუდამოდ არ დარჩენილიყვნენ.

ქართველებს ღმერთმა ძალზე ლამაზი ქვეყანა — საქართველო აჩუქა. ეს იმიტომ რომ ქართველი ებრაელებისათვის დამატებითი, კიდევ ერთი გამოცდა მოეწყო — აღთქმული ქვეყნისათვის დატოვებდნენ თუ არა საქართველოს.

თანამედროვე ისტორიაში ისრაელმა და საქართველომ ერთნაირი ბედი გაიზიარეს: დღევანდელ მსოფლიოში 22 მუსლიმური ქვეყანაა, 50 სახელმწიფოში კი მუსლიმები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. თავიანთი ტერტიტორია მაინც ეცოტავებათ და ისრაელის განადგურებას ცდილობენ. ასევეა რუსეთი — ამ ქვეყნიერების მერვედი ტერიტორია უჭირავს, მაგრამ მაინც ცდილობს ქართული მიწების ხარჯზე გაზარდოს თავისი ტერიტორია. ასე რომ, სურთ მიწისა პირისაგან აღგავონ როგორც ისრაელი, ასევე საქართველო. ასე რატომ ხდება? იმიტომ რომ ისრაელმა, საქართველომ გეზი დასავლეთისაკენ აიღეს.

ამ ორი ერის მეგობრობა 2600 წელია გრძელდება. როცა ებრაელები საქართველოში მივიდნენ, ქართველებმა ჰკითხეს:

— ვინ ხართ, საიდან მოხვედით, რომელია თქვენი დედაქალაქი, თქვენი რომელი მეფე იყო სახელოვანი?

ებრაელებმა მიუგეს, რომ მოვიდნენ ისრაელიდან, რომ მათი დედაქალაქია იერუსალიმი, რომ ეს ქალაქი სახელოვანმა დავით მეფემ 400 წლის წინათ დააარსა. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველებმა 2600 წელია იციან: ისრაელის მარადიული და განუყოფელი დედაქალაქი არის იერუსალიმი.

იმედი მაქვს ეს ცოდნა, ეს მეგობრობა ძალიან მალე გადაითარგმნება იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად ოფიციალურ ცნობაში. მაშინ როცა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქი გახლდათ, არც პარიზი არსებობდა და არც ლონდონი. ცხადია, საქართველოს საელჩო იერუსალიმში უნდა იყოს. იმედი მაქვს, საქართველო აშშ-ს დარად სიმართლეს აღიარებს.

რაც შეეხება პატივცემული გურამ ბათიაშვილის მოღვაწეობასა და მის საიუბილეო თარიღს: აქ წაიკითხეს რაბი ადინ შტაინზალცის მოსაზრება გურამსა და მისი რომანის არსზე: მინდა ხაზგასმით ვთქვა: რაბინი ადინ შტაინზალცის (ევენ ისრაელის) ქებას გურამის ნაწარმოების შესახებ, არაფერი შეედრება. ადინ შტაინზალცი აღიარებულია, როგორც გენიოსი. ჟურნალმა „Time" შტაინზალცი დაახასიათა, როგორც პიროვნება, რომლის ბადალი ათასწლეულში ერთხელ იბადება. პატივცემულმა გურამმა რაბინ შტაინზალცის რეცენზია უნდა გაადიდოს და თავის კაბინეტში ჩარჩოში ჩასმული კედელზე ჩამოკიდოს, როგორც უდიდესი მიღწევა.

გაზეთ „მენორას და პატივცემულ გურამს ვუსურვებ ბევრ მომავალ გამარჯვებას!

გაუმარჯოს ისრაელს!

გაუმარჯოს საქართველოს!

***თანამედროვეობის გამოჩენილი თეოლოგისა და რაბინის — ადინ შტეინზალცის მოსაზრება გურამ ბათიაშვილსა და მის რომანზე „მეათე კაცი გახლავთ, ამ რომანის ივრითზე (თელ-ავივი) გამოცემისათვის დაწერილი წინასიტყვაობა.**

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი გაწეულ სამუშაოს აჯამებს

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის დირექტორატი საზოგადოებას მიმართავს :

ძვირფასო მეგობრებო,

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის მუშაობაში ბოლო ორი თვე მოვლენებით განსაკუთრებულად დატვირთული იყო. მკითხველის ყურადღებას რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ:

5-6 ივნისს პრაღაში ჩატარდა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის გენერალური ასამბლეა. გენასამბლეის ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა გახდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის გამოსვლა. მიხ. მირილაშვილმა მეკ-ის აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინა ანგარიში ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტად არჩევის შემდგომ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. ამასთან ერთად გააცნო უახლოესი მომავლის გეგმები.

24-26 მაისს რუსეთში გაიმართა ,,სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი". ეს ღონისძიება რუსეთის ჩრილოურ დედაქალაქში ყოველწლიურად ტარდება. წელს მასში მსოფლიოს 120 სახელმწიფოს 14 ათასი მეწარმე, ბიზნესმენი მონაწილეობდა,მაგრამ ფორუმის ძირითადი აუდიტორია მაინც რუსეთისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დიდი კომპანიების ხელმძღვანელები, სახელმწიფოთა მეთაურები და პოლიტიკური ლიდერები, მთავრობათა წარმომადგენლები — ვიცე-პრემიერები, მინისტრები, გუბერნატორები იყვნენ.

24 მაისს ფორუმის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა: ,, დიალოგი. რუსეთი-ისრაელი." ეს ღონისძიება, ორგანიზაცია ,,ისრაელ-რუსეთის საქმიანმა საბჭომ", ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესმა და რუსეთში ისრაელის საელჩომ ერთობლივად ჩაატარეს. „მრგვალ მაგიდაზე" მოწვეულნი გახლდნენ რუსეთის აკადემიური წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ებრაული თემის წარმომადგენლები. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მიხეილ ბოგდანოვმა, ისრაელის იერუსალიმის საქმეთა და გარემომცველი სამყაროს დაცვის მინისტრი ზეევ ელკინმა, რუსეთში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გარი კორენიმ, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გამგეობის თავმჯდომარემ არონ ფრენკელმა, ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა თემურ ხიხინაშვილმა (ბენ-ეუდა), ეაე კონგრესის გენერალურმა დირექტორმა დ-რმა ხაიმ ბენ იაკობმა და სხვ.

ფაშისტურ გაემანიაზე გამარჯვების 73-ე წლისთავთან დაკავშირებით ისრაელში პირველად ჩატარდა მუსიკალური ფლემოობი ,,გამარჯვების დღე" ფლეშბომის ფარგლებში ისრაელის ოპერის, საესტრადო მომღერლები,ფილარმონიის სოლისტები ისრაელის მატარებლების მგზავრების წინაშე გამოდიოდნენ მუსიკალური ნომრებით. ისინი ვაგონიდან ვაგონში გადადიოდნენ და მგზავრებს რუსულ, ივრითულ ენებზე უმღეროდნენ მეორე მსოფლიო ომის წლებში პოპულარულ სიმღერებს ,,კატიუშა", შავგვრემანი გოგო", ,,ცისფერი ცხვირსახოცი", ,,გამარჯვების დღე" და სხვ.

ფლეშმობი ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესმა ჩაატარა.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი მისი პრეზიდენტის მიხეილ მირილასვილის ხელმძღვანელობით შეხვდა ისრაელის მთავარ რაბინს დავით ლაუს. პრეზიდენტმა მთავარ რაბინს გააცნო კონგრესის ამოცანები,უამბო უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩატარებულ რეფორმებზე.

— ჩვენი მიზანია დავეხმაროთ დიასპორის ებრაულ თემებს, გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ ებრაული თემები გახდნენ დამოუკიდებელნი და ძლიერნი. ამას გარდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიასპორის ყოველი ებრაელი ცხოვრობდეს სრულყოფილი ებრაული ცხოვრებით — თქვა მიხ ეილ მირილაშვილმა

მთავარმა რაბინმა დალოცა სტუმრები და აღნიშნა, რომ მიხეილ მირილაშვილის მიზნები ძალიან მნიშვნელოვანია.

— დიასპორაში ბევრი ებრაელი მოწყვეტილია ეროვნულ ძირებს ებრაულ განათლებას, სულიერებას. ამიტომ ევრ-აზიის კონგრესის მიზნები მისასალმებელია.

მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტში გაიმართა სრულიად რუსეთის ჰოლოკოსტის თემისადმი მიძღვნილი თეატრალური დადგმების ფესტივალი - „ერის მეხსიერება". ფესტივალი მოაწყო რუსეთის სახელმწიფო დუმასთან არსებულმა ახალგაზრდულმა პარლამენტმა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის მეთაურობით. ფესტივალის თანაორგანიზატორები იყვნენ რუსეთის ებრაული თემების ფედერაცია, რუსეთის მშვიდობის ფონდი და რუსეთის ებრაელ სტუდენტთა კავშირი.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის მხარდაჭერით მოსკოვში გაიმართა ისრაელის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვილი ღონისძიებები.

ისრაელის დამოუკიდებლობის დღის წინ, იერუსალიმში გოდების კედელთან გაიმართა საზეიმო ცერემონიალი, რომელიც გახლდათ კულმინაცია პროექტისა „მასა — 70". ღონისძიება გაიმართა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის ეგიდით, მასში მონაწილეობდა პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი.

თელ-ავივში გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის და ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის სამუშაო ჯგუფების შეხვედრა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მეკ-ის მხრიდან სონია გომეს დე მასკიტა და ეაეკ-ის მხრიდან დოქტორი ხაიმ ბენ იაკობი. მსოფლიოს ებრაელთა კონგრესისა და ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ჩატარებულ სამუშაოზე და მომავლის გეგმაზე.

ჩვენ და ებრაელები
№98-99. შაბათი. 12 მაისი. 2018 წელი.

როგორ გადაარჩინა ქართველმა ჯარისკაცმა ებრაელი მეგობარი?

ბიძაჩემმა სეით ახვლედიანმა ოთხწლიანი სკოლა ჩვენს სოფელში ცაგერაში დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად ლაილაშის საშუალო სკოლაში გადავიდა. მაშინ ლაილაში რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ათასობით ადამიანი ცხოვრობდა, უმეტესობა – ებრაელი. მათი წყალობით აქ სკოლაც დიდებული იყო, საავადმყოფოც, აფთიაქებიც და უამრავი კეთილმოწყობილი მაღაზიაც. ბაზარი კი ამ სიდიდისა დიდ ქალაქებშიც იშვიათად მოიძებნებოდა. ყველაფერი იშოვებოდა.

სეით ახვლედიანი სკოლაში მისვლისთანავე პირველს, დავით მეგრელიშვილს შეხვდა. მან თავის მერხზე მიიპატიჟა და სკოლაც ერთად დაამთავრეს.

ორმა პატარა ბიჭმა მაშინ არ იცოდა, რომ სკოლაც ერთად უნდა დაემთავრებინათ, ჯარშიც ძმურად, ერთად უნდა ემსახურათ, ჯერ ფინეთთან, მერე კი ფაშისტურ გერმანიასთან ეომათ, ტყვეობის საშინელი დამამცირებელი და მტანჯველი წლებიც ერთად გაეტარებინათ. ერთმანეთის სიცოცხლის ხსნისთვის კი მანამდე არგაგონილი თავგანწირვა და გმირობა ჩაედინათ.

ფაშისტურ ჯარებთან შეტაკებისას ძალები იმდენად განსხვავდებოდა, რომ საბჭოთა არმიის ნაწილები ორი კვირის ბრძოლის შემდეგ დაატყვევეს.

მეგობრები ტყვედ ჩავარდნენ. მაშინ პოლონეთის ტერიტორიაზე იყო მათი ტყვეთა ბანაკი. მოულოდნელად, დილით ადრე, გერმანელებმა ხმაური ატეხეს. ტყვეებს გარეთ ყრიდნენ. იქვე ტყეესთან ახლოს, ექსკავატორით ამოთხრილ ორმოსთან ალფავიტის მიხედვით ამწკრივებდნენ, აშიშვლებდნენ და დახურულ ფარდულში შეჰყავდათ. ტყვეებს მედიცინის მუშაკები სასქესო ორგანოზე აკვირდებოდნენ. ებრაელებს ფარდულს გარეთ, ორმოსთან უშვებდნენ, სხვებს კი ბანაკებში აბრუნებდნენ. ებრაელებს რაც ემართებოდათ, ამას ავტომატის ხმა ადასტურებდა...

სეით ახვლედიანი პირველ მწკრივში მოხვდა. შეამოწმეს და მალევე დაბრუნდა... ყველაფერს მიხვდა, გაერკვა. თავის მეგობარს დაუდგა გვერდით, ჩასჩურჩულა... შენი გვარის ამოკითხვისას ფეხს არ მოიცვლი, შენს ნაცვლად მე მივდივარო...

„მეგრელიშვილი დავით" – ამოიკითხეს. გაიგონა თუ არა მეგობრის გვარ-სახელი, შიშველი სეით ახვდელიანი მწკრივიდან გამოხტა და ტიტლიკანებს შეუერთდა. დავითი კი, დამნაშავესავით გაოგნებული იდგა, ათასი ფიქრით და დარდით: რა დავაშავეთ უნიჭიერესი ერის შვილებმა, სხვაზე ნაკლები სიკეთე ვაკეთეთ კაცობრიობისთვის?!. – გიჟი ფიურერის ბოდვას, რატომ მოჰყვა ამდენი უმანკო სისხლის ღვრა? ამაზე მსოფლიოს ადრევე უნდა ეყვირა!..

დავითი მწკრივებში ახლოს მდგომთა სახეებს აკვირდება. მათ შორის ორი შიშველი ტყვე ოფიცერი იყო, რომლებსაც ტუჩებზე გამაფრთხილებელი ნიშნით თითი ედოთ. ვაი მათ, ვინც გაგცემსო, შენ კი დავით, „თავადს" (სეით ახვლედიანს) არ მიეკარო. მხოლოდ ჩაიცვიო. ვითომ არაფერი მომხდარა. ყოჩაღ, ვინ ყოფილა ეს „თავადი", რა მარტივად ჩაიდინა გმირობა და გადაარჩინა მეგობარი. აი, დამთავრდება პროცესი და ნახავთ, მწკრივებში რამდენი უპატრონო ტანსაცმელი დარჩება. განსაკუთრებით მენანება ჩვენი უფროსი. მის გარეშე გაგვიჭირდება. როგორ ვერ მოვიფიქრეთ თუ ამ ხერხით შეგვეძლო მისი გადარჩენა?!! აფსუს!?!!

ორი წლის შემდეგ, საბჭოთა ძალებმა ისე შეუტიეს გერმანელებს, რომ უკან დაიხიეს. ტყვეთა ბანაკები გერმანიის ტერიტორიის სიღრმეში გადაიტანეს. მშვიდობიან ადგილზე ტყვეთა ბანაკების მოწყობის შემდეგ გერმანელებს კვლავ გაახსენდათ ჰიტლერის „მაინ კამფი" და მოაწყვეს საშინელი შემოწმება.

– იმდენი ავტომატიანი ფაშისტი არა, მაგრამ უფრო მეტი დამხმარე გააკეთებული ნაგაზები გამოგვიყვანეს. ტყვეები ცემით გამოგვრეკეს. სიის ამოკითხვით დაგვაყენეს მწკრივებში, და მკაცრი ბრძანებით ტანსაცმელი გაგვახდევინეს და იქვე, მწკრივებში დაგვაყრევინეს. სეითმა წინასწარ გააფრთხილა მეგობარი, შენ ფეხი არ მოიცვალო, მე პირველ მწკრივში მიწევს წასვლა და მალე მოვალო...

– გაგიჟდი, რას ამბობ, ბიჭო, სულ კი არ გაგვიმართლებს, გაგვიგებენ და ორივეს დაგვხვრეტენ...

– დაგვხვრეტენ და იქ სამუდამოდ ერთად ვიქნებით. კაი რა, თუ ძმა ხარ, ნუ ხუმრობ, იცოცხლე და თუ გადარჩი, ჩემებს ამბავს მაინც ჩაუტან, დათო! ხმა აღარ ამოიღო, დამთავრებულია, მივდივარ, ეს არ შეიცვლება...

შემოწმებიდან ტყვეები, ვინც გადარჩა, ბრუნდებიან, სეითი კი არ ჩანს... ორი წუთის დაგვიანებაც კი დარდს და შიშს იწვევს, ნეტავ სად არის? რა დაემართა... გიჟდება დავითი. როგორ დაილუპე თავი, ბიჭო, ჩემი გულისთვის? ხომ გეუბნებოდი, დაგეჯერებინა და ახლა მეც სამუდამოდ დასვენებული ვიქნებოდი... არა, აი, ვილაც ერთი გამოჩნდა, მაგრამ ეს ვილაც სულ ჭაღარაა. დავით!.. სეით? ეს შენ ხარ? ბიჭო თმები რამ გაგითეთრა? რა მოხდა?!! რა, და შემამოწმეს, მითხრეს თავისუფალი ხარო, გადმოვდედაო?.. ეს რომ გავიგონე, გამეცინა. ძლივს ქართველი გნახე, შენ როგორ დაგსჯიო. თუ სიცოცხლე მინერია, თქვენს დიდებულ ქვეყანას კვლავ ვესტუმრები. აბა კარგად!.. მხარზე ხელი დამკრა და გამოვქანდი. ჭაღარა თმები იმ საშინელი წუთების სამახსოვრო დაღია... ჭაღარა არაფერია, ღმერთმა რისკის ფასად შენი თავი კიდევ ერთხელ მაჩუქა. დიდება უფალს, გადავრჩით. აწი აღარ შეგვამოწმებენ, სულ ერთად ვიქნებით!..

გერმანელები ტყვეებს იყენებდნენ დაბომბილი ქალაქების აღდგენით სამუშაოებზე. მათ რიგებში ეძებდნენ ხელოსნებს, ოსტატებს. მათთვის თვალში საცემი გახდა დავით მეგრელიშვილის ნიჭი და ოსტატობა სახლის სახურავების აღდგენის საქმეში. მისი ხელით დამუშავებული რკინა ისეთ ფორმას იღებდა, რომ ფაშისტებს უკვირდათ. იგი გადაიყვანეს სახლის სახურავების შეკეთებაზე. შედეგი ისე მოეწონათ, რომ ოფიცრების დაზიანებული კაბინეტებიც შეაკეთებინეს. დავით მეგრელიშვილს სამუშაო გამოუცხადა. ეს ამბავი ადგილობრივ ებრაელ ოფიცრებს ეცნობა. ებრაელ ოფიცრებს ეშინოდათ, ფაშისტებს ებრალებოდა, ებრალებოდა ებრაელ ოფიცრებს, ებრალებოდა ებრაელ ოფიცრებს, ებრალებოდა ებრაელ ოფიცრებს

ბულგარეთის მეფე ბორის მესამე:

ჩემი ქვეყნის ებრაელები ბულგარეთის ქვეშედრომები არიან და მათი თავისუფლების ხელყოფას აღვიქვამთ, როგორც ბულგარელების შეურაცხყოფას

საყოველთაოდ გახლავთ ცნობილი ლეგენდის მსგავსი ნამდვილი ამბავი იმაზე, მეორე მსოფლიო ომის წლებში დანიელებმა ნაცისტებისაგან როგორ იხსნეს რვა ათასი ებრაელი — მეთევზეთა ნავებით ერთი ღამის განმავლობაში როგორ გადაიყვანეს შვეციაში. მაგრამ იმაზე კი თითქმის არაფერი იციან, ან ცოტამ თუ იცის,1943 წელს ნაცისტთა რისხვას როგორ გადაარჩინეს 50 ათასი ბულგარელი ებრაელი. ბულგარელი კომუნისტები ამის დამადასტურებელ დოკუმენტებს ათეული წლების განმავლობაში ცხრაკლიტურში ინახავდნენ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მიეჩქმალათ ამ ქვეყნის მეფის,ეკლესიის,არაკომუნისტი პარლამენტარების დამსახურება და ღირსება. ამათ ხომ გერმანელი ფაშისტების წინაშე დიდი გულადობა, პირადი მამაცობა გამოიჩინეს. საბჭოურ ბლოკში მოქცეულ ბულგარეთში მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ კომუნისტური ლიდერები უნდა განედიდებინათ.

ამიტომ ბულგარეთში კომუნისტური რეჟიმის დამხობამდე (1991წელი) ამ ამბავს ბნელეთში გადაუძახეს და მივიწყების ობიექტად იქცა. ეს გახლდათ მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფის — შოას ბოლო საიდუმლო.

ბულგარეთი პატარა სახელმწიფოა. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში მისმა მოსახლეობამ შვიდ მილიონს მიაღწია. ებრაული თემი კი, რომელიც ამ ქვეყანაში ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან ცხოვრობს, 50 ათას წევრს ითვლიდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ბულგარეთი ნაცისტურ გერმანიასთან იმ იმედით გაერთიანდა, რომ თავის ძირძველ ისტორიულ ტერიტორიას დაიბრუნებდა — პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად მაკედონია იუგოსლავიამ წაართვა, ფრაკია — საბერძნეთმა.

სავალალოდ ცნობილი ნიურბერგის კანონების შესაბამისად, ბულგარეთმა 1940 წელს თავისი ებრაელი მოქალაქეების იურიდიული და სოციალური უფლებები შეზღუდა. 1943 წლის იანვარში სოფიაში ჩავიდა სს-ის წარმომადგენელი — ეიხმანის მოადგილე თეოდორ დანნეკერი. ვიზიტის მიზანი გახლდათ ბულგარელი ებრაელების პოლონეთის სიკვდილის ბანაკებში დეპორტაცია (პოლონეთი 1939 წლიდან გახლდათ ოკუპირებული). 22-23 თებერვალს დანნეკერმა ბულგარეთის ებრაელთა საკითხების ხელმძღვანელ პოლკოვნიკ ა.ბელოვთან ხელი მოაწერა მაკედონიისა და ფრაკიის 20 ათასი ებრაელის დეპორტაციის შესახებ შეთანხმებას. მაგრამ მოგვიანებით

პოლკოვნიკმა ა.ბელოვმა შეთანხმების ტექსტიდან ამოშალა დაზუსტება: მაკედონიისა და ფრაკიის ებრაელობის დეპორტაციის თაობაზე. ამით დეპორტაციის საფრთხე დაემუქრა მთელი ბულგარეთის ებრაელობას.

ეს ამბავი მალე გახმაურდა და მთელს ბულგარეთს მოედო. ფაშისტების ამ არაადამიანურ ზრახვებზე ცხარედ კამათობდნენ ბულგარეთის მოსახლეობის სხვადასხვა ფენები. ებრაელთა დეპორტაციის საკითხი ამ პატარა ქვეყნის — მთელი ბულგარეთის მღელვარების საგანი გახდა.ამის მიზეზი ის იყო რომ ბულგარელებს არ ახასიათებდათ იმპერიული ამბიცია. ისინი ყველა ერთან, რომლებიც ამ მიწაზე ცხოვრობდნენ: სომხები, თურქები, ბერძნები,ებრაელები, ბოშები — ერთიანობას გრძნობდნენ.

დეპორტაციის თარიღის მოახლოებასთან ერთად, როგორც კი ამის თაობაზე ინფორმაცია მიიღო, ბულგარეთის პარლამენტის ვიცე სპიკერმა დიმიტრი პაშევმა პარლამენტში დაიწყო თანამზრახველთა შეგროვება და სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მინისტრს პეტრე გაბროვსკის წაუყენა ულტიმატუმი: თუ დეპორტაცია ფარულად განხორციელდებოდა, მოსალოდნელი გახლდათ საჯარო სკანდალი. დიმიტრი პაშევს შეუერთდა 43 პარლამენტარი. ამათ რეგისტრაციაში გაატარეს ოფიციალური პროტესტი ებრაელთა მოსალოდნელი დეპორტაციის გამო.

ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა არქიეპისკოპოსმა სტეფანემ აქტიურად გაილაშქრა ებრაელთა დეპორტაციის წინააღმდეგ. ცდილობდა რა ებრაელთა გადარჩენას, აძლევდა ყალბ ცნობას იმის თაობაზე, რომ ესადაეს ებრაელი მოინათლა და ქრისტეს რჯული მიიღო. პლოვდივის ეკლესიის მეთაური — ეპისკოპოსი კირილი საჯაროდ იმუქრებოდა ლიანდაგზე დავწვები — მატარებელმა ჩემს სხეულზე გადაიაროსო. ებრაელებს კი აღუქვა:,,სადაც არ უნდა წაგიყვანონ, მეც თქვენთან ერთად ვიქნები!“ და ბოლოს მეფე ბორის მესამემ, სწორედ საზოგადოებრიობის ამგვარი ზეწოლის შედეგად ებრაელთა დეპორტაცია აკრძალა.

ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ 23 მარტის ღამისათვის დანიშნული საიდუმლო დეპორტაცია შეჩერდა

ვინაიდან ბულგარეთი ნაცისტური გერმანიის მოკავშირე გახლდათ, ასეთი ღია დაპირისპირება ებრაელობას კარგს არას უქადდა — შესაძლებელი იყო ნაცისტურ არმიას დაეწყო ებრაელთა მასიური ხოცვა. ნაცისტების ჯარი ყველგან. ყოველ დასახლებულ პუნქტში იდგა. ბულგარეთი იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა, თუ როგორ შეიძლებოდა მობრუნებოდა ფაშისტებისადმი დაუმორჩილებლობა და ითვალისწინებდა კიდეც ამ გარემოებას. ბოლოს ნაცისტებმა თავი აარიდეს მოკავშირე სახელმწიფოსთან ღია კონფლიქტს.

მეფე ბორის მესამემ გერმანიის ელჩს ადოლფ ბეკერლის განუცხადა:

— ჩემი ქვეყნის ებრაელები ბულგარეთის ქვეშედრომები არიან და მათი თავისუფლების ხელყოფას აღვიქვამთ, როგორც ბულგარელების შეურაცხყოფას.

დიახ, ფაშისტურმა გერმანიამ პირდაპირ კონფლიქტს თავი აარიდა, მაგრამ მეფე ბორის მესამე რამდენიმე თვეში ერთობ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

ამრიგად, ბულგარეთი გახდა ევროპის ის ქვეყანა, რომელმაც ნაცისტთა სიკვდილის ბანაკებისაგან მთელი სახელმწიფოს ებრაული თემი იხსნა, ხოლო ბულგარეთის მეფე ბორის მესამე იმ ერთადერთ მსოფლიო ლიდერად შეირაცხა, რომელმაც ჰიტლერს მეორე მსოფლიო ომის სისხლიან წლებში ხელთათმანი ესროლა.

იმ გადარჩენილი 50 ათასი ებრაელიდან ომის შემდეგ 40 ათასი ისრაელს გადასახლდ. მათს შორის გახლდათ მიხაელ ბარ ზოხარი — მოგვიანებით ისრაელის ქნესეთის წევრი. მან დაწერა შესანიშნავი წიგნი ბუგარეთის ებრაელობაზე. წიგნი ბულგარულ ენაზე ითარგმნა, ხოლო ანტიდიფამიაცურმა ლიგამ წიგნის 30 ათასი ეგზემპლიარი ბულგარეთში ჩაიტანა, რათა ბულგარეთის მოსახლეობამ იცოდეს მეორე მსოფლიო ომის წლებში ბულგარელი ხალხის ჭეშმარიტი გმირობის, მამაცობის ამბავი, ხოლო ჰოლოკოსტის წლებში ისრაელის ებრაელი ხალხის კატასტროფისა და გმირობის ინსტიტუტმა ,,იადვაშემმა“ 2016 წლის 1 იანვარს ,,მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ საპატიო წოდება ბულგარეთის 20 მოქალაქეს მიანიჭა.

„Isralow“

ად მეავეესრიმ, ჩვენო გაბაი!

გაბაი ბეით ქნესეთის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი და ჯამაათის მსახურია. გაბაის ღირსება, დამსახურება ჯამაათის წინაშე, განიზომება იმით, თუ რაოდენ უქმნის იგი ჯამაათის წევრებს თავთავიანთი რელიგიური მისწრაფებების ასრულების საშუალებას. ასეთი გაბაი გახლავთ ,,ბეით რახელის" ჯამაათის თავმდაბალი და ერთგული მსახური იოსებ (სოსო) მოშიაშვილი. ამ სალოცავში დილიდან საღამომდე არ წყდება ლოცვა, თორის შესწავლა,აქ ახალი, თუ საშუალო თაობის ებრაელობა სულიერ საზრდოს პოულობს. სოსო მოშიაშვილი ღირსეული გამგრძელებელია ამ სალოცავის ჩინებული გაბაიების ტრადიციისა. (თუნდაც ერთის — მალქიელ ეხისკელ-აშვილის გახსენებაც კმარა!) ამიტომაც იყო — 3 თამუზს-16 ივნისს ჯამაათის წევრები სოსო მოშიაშვილს სიამოვნებით ულოცავდნენ დაბადების დღეს. ყველა, დიდი, თუ პატარა, ერთხმად ლოცავდა ამ დაუზარელ, მოუსვენარ გაბაის.

გაზეთი ,,მენორა" მათ უერთდება და ამბობს:

— ად მეავეესრიმ, ჩვენო გაბაი!

„ბროლის თასი" ავანგარდული ჭვრეტით

ახალგაზრდა, წარმატებული კომპოზიტორი ხანა აჯიაშვილი მიღწეულით რომ არ კმაყოფილდება, ამაში დიდი ხანია დავრწმუნდით. მისი თვითმყობადობა, განსხვავებულობა და სამომავლო ჟანრის მუსიკით დაინტერესება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის კოლეგებს როგორც ისრაელში, ასევე საზღვარგარეთ. მინდა ჩვენს მკითხველს სიხარულითა და სიამაყით ვამცნო, რომ ხანა მიწვეული იყო აშშ–ს ქალაქ ჰიუსტონის უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ერთი სემესტრის განმავლობაში. საკუთარი გამოცდილება, განსხვავებული ხელწერა და მუშაობის სპეციფიკა გააცნო ამერიკელ სტუდენტებს. მის წარმატებას ისიც ადასტურებს, რომ ამერიკელებმა კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს. თავად ხანა კი შთაბეჭდილებებით დახუნძლული და მეტად კმაყოფილი დაბრუნდა.

გასული წლის მაისში ხანა აჯიაშვილმა მუშაობა დაიწყო ახალი ოპერის ლიბრეტოზე ს.ფიცჯერალდის ნაწარმოების „ბროლის თასის" მიხედვით. ამერიკაში ყოფნას ხელი არ შეუშლია მისთვის — იქაც განაგრძობდა მუშაობას სიუჟეტის შესაბამის მუსიკაზე, რათა დაბრუნებისთანავე ჩატარებულიყო ოპერის პრემიერა.

ხანა აჯიაშვილი დიდი ხანია თანამშრომლობს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ანსამბლთან „მეითარ" (სიმი) და ხშირად ერობლივი კონცერტებით გამოდიან. ამჯერადაც ამ ანსამბლთან ერთად მუშაობდა და შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჩვეული პროფესიონალიზმით ანხორციელებენ კომპოზიტორის ჩანაფიქრს.

ამასწინათ — აპრილის ბოლოს თელ–ავივის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზში „ანავ" „ბროლის თასის" პრემიერა გაიმართა. მსმენელთა წინაშე წამყვან პარტიებს ასრულებდნენ მსოფლიო მასშტაბის მომღერლები. ორი მათგანი, კერენ მოცერი და ნოა ფრენკა, სპეციალურად იყვნენ მოწვეულნი ჰოლანდიიდან. აგრეთვე იერუსალიმის ოპერის სოლისტი იაირ პოლიშჩუკი და რეი სარუხი. დირიჟორი იუვალ ცორხი. პუბლიკა მხურვალე აპლოდისმენტებით ითხოვდა ავტორის გამოსვლას. და აი, ხანა აჯიაშვილი ხელს ართმევს დირიჟორს, ვერ ფარავს სიხარულსა და მღელვარებას. მილოცვის შეძახილები დიდხანს არ წყდებოდა.

ეს კიდევ ერთი წარმატება ჩაიწერა ხანა აჯიაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში და არა უკანასკნელი.

გილოცავთ, ჩვენო ხანა!

სახელმოხვეჭილი და ახალგაზრდა კომპოზიტორები: რუბენ კაჟილოტი, ხანა აჯიაშვილი და იოსებ (სოსო) ბარდანაშვილი.

ლია კრიხელი

ისრაელმა დაბომბვა და განადგურება აღიარა

ახლახან ისრაელის ცენზურამ ნება დართო, აქამდე ათი წლის განმავლობაში აკრძალული ინფორმაციის გამოქვეყნებისა.ეს გახლავთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2007 წელს ისრაელის არმიამ დაბომბა და გაანადგურა სირიაში მშენებარე ატომური რეაქტორი. იმ დილითვე ისრაელის ყველა წამყვანმა გაზეთმა დაბეჭდა ამ ცნობილი სამხედრო ოპერაციისადმი მიძღვნილი ვრცელი მასალები. ცალკეული ცნობები აქამდეც იბეჭდებოდა, მაგრამ ეს იყო უცხოეთის პრესიდან გადმოღებული. 21 მარტს კი ცაჰალის პრესსამსახურმა გამოაცხადა, რომ ატომური რეაქტორის განადგურების ოპერაცია (კოდური სახელწოდება ,,კუბი") ხანგრძლივი და რთული სადაზვერვო მუშაობის შემდეგ, 2007 წლის 6 სექტემბრის ღამეს ,,ცაჰალმა" ჩაატარა — ისრაელის თვითმფრინავები დამასკოს ჩრდილოეთით 450-ე კილომეტრზე დირ ზა ზურას რაიონში თავს დაესხნენ დამთავრების პირას მისულ მშენებარე ატომურ რეაქტორს და მთლიანად გაანადგურეს.

,,ცაჰალმა" გამოაცხადარომ ატომურ რეაქტორზე სადაზვერვო საქმიანობა 2004 წლიდან მიმდინარეობდა.

მიმომხილველები აცხადებენ, რომ სირიის ატომური რეაქტორი საფრთხეს უქმნიდა არა მხოლოდ ისრაელს, არამედ მთელ ახლო აღმოსავლეთს.

ციპი ლივნი: მახსოვს ბუნკერში რომ ვისხედით და...

ისრაელის მეცხრე სატელევიზიო არხი გაესაუბრა ისრაელის ,,სიონისტური ბანაკის" თანათავმჯდომარეს, 2007 წელს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრს ციპი ლივნის.

— რა როლი ითამაშეთ 2007 წელს სირიის ატომური რეაქტორის განადგურების გადაწყვეტილების მიღებისას?

— მე ვიყავი იმ სამეულის ერთ-ერთი წევრი, რომელიც გადაწყვეტილებას ღებულობდა — პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და მე — საგარეო საქმეთა მინისტრი. ჩვენ ერთობლივად ვაანალიზებდით მიღებულ ინფორმაციას და მივიღეთ გადაწყვეტილება დაგვებომბა ატომური რეაქტორი. კარგად მახსოვს ოპერაციის მიმდინეობისას თავდაცვის სამინისტროს ბუნკერში ცაჰალის გენერალური შტაბის უფროსთან და ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო საჰაერო ძალების მეთაურთან ერთად ყოფნა. ყოველ წუთს მოდიოდა ინფორმაცია თავდასხმის ოპერაციის წარმატების ,შემდეგ კი ჩვენი თვითმფრინავების დისლოკაციის ადგილებზე მშვიდობიანად დაბრუნების თაობაზე. კარგად მახსოვს, თერთმეტი წლის წინათ, ოპერაციის დამთავრების შემდეგ, ბუნკერიდან რომ ამოვედი და თელ-ავივის მშვიდობიან ზეცას რომ ავხედე. ჩვენ მოვალენი ვიყავით ატომური რეაქტორი გაგვანადგურებინა. ეს იყო სამართლიანი ოპერაცია საიმისოდ რომ გადაგვეწია რეგიონში გლობალური ომი და ჩვენი მოსახლეობისათვისმშვიდობა შეგვენარჩუნებინა. ჩვენ გვქონდა მოქმედების სამი ვარიანტი. ანალიზის შედეგად ავირჩიეთ სწორედ ეს ვარიანტი.

ამ სამოდელო კომპანიას ზურგი აქციეთ!

სამოდელო კომპანია „ზარა" ანტიისრაელური და ანტისემიტური სულისკვეთებით გამოირჩევა, ადრე არაბების მხარდასაჭერად ეტიკეტზე ქვეყნების ჩამონათვალში ისრაელი არ აღნიშნა, ხოლო წელს ახლახანს კოლექცია „ჰოლოკოსტის მოტივებზე" „სვასტიკის" სიმბოლოებით შექმნა...

ისრაელმა და ებრაელობამ ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს ამ კომპანიას!!!!

ისრაელის ამბები ისრაელის ამბები ისრაელის ამბები

მიდიან?

სირიის სამართალდამცავთა მონიტორინგის იმ ცენტრის ცნობით, რომელიც ადამიანის უფლებებს სწავლობს, სირიაში ისრაელის საზღვართან განლაგებულ ტერორისტებს სასაზღვრო ზონიდან გასაყვანად ამზადებენ — ცენტრის აქტივისტები იუწყებიან, რომ სასაზღვრო ზოლში მოქცეულ (გოლანის სიმაღლეების სირიული მხარე) კუნეიტრისა და ქალაქ დარას დატოვებას აპირებენ პროირაული ძალები და ,,ჰიზბალა". ეს ხმები დაემთხვა მოსკოვის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სირიის ტერიტორიაზე მხოლოდ სამთავრობო შეიარაღებული ძალები უნდა იმყოფებოდნენ, ადრე კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა: ,,საზღვართან მხოლოდ ასადის სამთავრობო ძალები უნდა იდგნენ"

მკითხველს შევახსენებთ, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს 9 მაისს მოსკოვს ჩავიდა და რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეხვდა ისრაელის პრემიერ მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ.

როგორც ჩანს, ბ.ნეთანიაჰუს გარჯამ ნაყოფი გამოიღო.

,,ეშმაკსაც წაუღია ეგ ევროკავშირი!"

ისრაელის ენერგეტიკის მინისტრმა იუვალ შტაინიცმა განაცხადა:

— ეშმაკსაც წაუღია ეგ ევროკავშირი,ეს ხომ ოს ურგანიზაციაა ირანს რომ ელაქუცება — ქვეყანას რამელიც ადამიანებს სიკვდილით სჯის,მხარს უჭერს ტერორიზმს, ცდილობს გადაარჩინოს ასადი — პრეზიდენტი, რომელიც თავის მოსახლეობას ქიმიური იარაღით ხოცავს. ჩვენს სახელმწიფოში კი კანონის მეუფებაა.

ევროკავშირს ეშმაკთან ვგზავნი იმიტომაც რომ ის რეალურად არ წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოებს, ეს არის ორგანიზაცია,რომელიც თავისი თავისთვის არსებობს,იგი არ არის უფრო მეგობრული, ვიდრე თავად ევროპის სახელმწიფოები.

ისრაელის ყოფილი მინისტრი — ირანის ჯაშუში

დააპატიმრეს ისრაელის ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი, გონენ სეგევი,რომელიც ბოლო წლებში ნიგერიაში ცხოვრობდა.

გონენ სეგევი 1992-96 წლებში იყო ქნესეთის წევრი და მინისტრი,ხოლო 2012 წლიდან, სარგებლობდა რა, თავისი ძველი კავშირებით ირანის დაზვერვას სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწვდიდა... შაბაქი იუწყება, რომ გონენ სეგევმა ნიგერიაში კავშირი დაამყარა ირანის საელჩოსთან და გახდა ირანის დაზვერვის აგენტი. იგი ორჯერ იმყოფებოდა ირანში თავის კურატორებთან,მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, ისინი ვინ იყვნენ. საერთო უსაფრთხოების სამსახურმა დაადგინა, რომ სეგევი თავის ირანელ კურატორებს სხვა ქვეყნებშიც ხვდებოდა და ისრაელის ენერგეტიკის, სამხედრო ბაზების განლაგების, თანამდებობის პირთა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე აწვდიდა ცნობებს.

სეგევმა სამხედრო სამსახური ისრაელის საჰაერო ძალებში გაიარა და იქიდან კაპიტნის ჩინით გადადგა. დაამთავრა იერუსალიმის ბენგურიონის სახ. ებრაული უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, თელ-ავივში კი მენეჯმენტს სწავლობდა. სამართალთან პრობლემები ჯერ კიდევ 2005 წელს შეექმნა — ნარკოტიკის კონტრაბანდის ცდისათვის ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

,,პალესტინის დღე" ,, ნატურეი ქართას" გარეშე?

აპრილის დამლევს ,,პალესტინის კანადელ არაბთა ასოციაციამ" (**APAC**) კანადის პარლამენტის შენობაში პროპოგანდისტული აქცია ჩაატარა: ,,პალესტინის დღე — 2018. მზერა იერუსალიმისაკენ". ღონისძიებაზე მიწვეულნი გახლდნენ არა მხოლოდ პარლამენტის დეპუტატები, სენატორები, ქ.ოტავის მმართველები, არაბული ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რელიგიური თემების ლიდერები,სტუმართა შორის გახლდნენ იუდაიზმის რადიკალური ანტისიონისტური ულტრაორთოდოქსალური ჯგუფის ,,ნატურეი ქართას" წევრებიც.

,,ნატურეი ქართას" წევრები ამ შეკრებაზე ტრადიციულად პალესტინის დროშებით, არაფატის შარფებით მივიდნენ და ტრადიციულ ანტიისრაელურ ლოზუნგებს ისროდნენ — ებრაელთა სახელმწიფოს განადგურებას და დღევანდელი ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინის სახელმწიფოს შექმნას მოუწოდებდნენ.

როგორც ცნობილია, ,,ნატურეი ქართა" მცირერიცხოვანი (რამდენიმე ასეული ადამიანი) ულტრაორთოდოქსალურად მოაზროვნე ებრაელ სასულიერი პირთა ჯგუფია. იგი მიიჩნევს, რომ ებრაელ ხალხს არა აქვს უფლება ჰქონდეს თავისი სახელმწიფო, მანამ სანამ მაშიახი (მესია) არ მოვა, მითუმეტეს იარაღით ხელში არ უნდა იცავდეს აღთქმულ მიწაზე ცხოვრების უფლებას.

,,ნატურეი ქარტას " აქტივისტები გამოდიან რა ისრაელის სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ, ამტკიცებენ, რომ ისრაელები ბრალეულნი არიან პალესტინელთა, არაბების წინაშე. ამიტომ მხარს უჭერენ პალესტინის სახელმწიფოს შექმნას, ებრაელებმა კი ამ სახელმწიფოში უნდა უკუაგდონ, გულიდან ამოიგდონ სიონიზმი და უხმოდ,უდრტვინველად უნდა მორჩილებდნენო პალესტინელთა ნებას.

და იმისათვის, რომ მათი ასეთი სურვილი მალე აღსრულდეს, თავიანთ ,,წმინდა ვალად " მიაჩნიათ, დაეხმარონ ისრაელის მტრებს, იმათ, ვისაც ისრაელის სახელმწიფოებრიობის განადგურება აქვთ დასახული მიზნად. ქ. ტორონტოში ერთ-ერთ პროპალესტინურ დემონსტრაცაზე ,,ნატურეი ქართას" მოჰქონდა პლაკატები, რომლებზეც ეწერა: ,,ებრაელები მოსთქვამენ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის გამო", ,,ისრაელის სახელმწიფოებრიობა ღვთის გამოწვევაა და კაცობრიობის უბედურება", ,,ნამდვილი რაბინები სიონიზმისა და ისრაელის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გამოდიან", ,,თორა და თალმუდი ებრაელობას უკრძალავს ჰქონდეს სახელმწიფო!" და ა.შ.შარშან გავრცელდა ვიდეორგოლი, რომელშიც ,,ნატურეი ქართა" ფურიმის დღესასწაულზე ისრაელის დროშას ცეცხლს უკიდებს და ალმოდებული დროშის ირგვლივ ცეკვავენ. ისრაელის დროშა ამ ერთი თვის წინ მონრეალში გამართულ ღონისძიებაზეც დაწვეს.

,,ნატურეი ქართას" წევრები აცხადებენ, რომ გაზაფხულზე, ფურიმის დღეებში მსგავსი დემონსტრაციები ჩატარდა ლონდონში, ნიუ-იორკში და...იერუსალიმშიც კი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ,,ნატურეი ქართას" მხურვალედ უჭერს მხარს ირანი და ტერორისტული ორგანიზაციები ,,ჰეზბოლა" და „ჰამასი", ამიტომ ებრაული ორგანიზაციები ,,ნატურეი ქართას" კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ.

ნაგავში გადაუძახეს

რამათ განში ალმასების ბირჟაზე დამლაგებელმა ქალმა ,რომელიც ძვირფასი ქვების საამქროს ასუფთავებდა, ნაგავში გადაუძახეა ჩანთას, რომელშიც რამდენიმე ასეულ ათასობით შეკელის ბრილიანტი იყო. ჩანთის დაკარგვა რომ აღმოაჩინეს, სამეურნეო ნაწილის უფროსს მიმართეს, მან საშველად მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს უხმო. დაკარგული ალმასებს მენახემ ბეგინის ქუჩაზე ნაგვის კონტეინერში დაეძებდნენ. რამდენიმე საათიანი ძებნის ძემდეგ ბრილიანტებიანი ჩანთა იპოვეს.

აჰმედ აკლა: ებრაელობა არ არის ერი!

პალესტინელმა ჩინოვნიკმა — პალესტინის წარმომადგენელმა ერაყში აჰმედ აკლამ ერაყის ტელე არხ **AL-Rased**-თან საუბრისას განაცხადა, რომ არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიც გახლავთ ,,ებრაელი ხალხი" და მუსლიმ შურისმაძიებლებს მოუწოდა მონაწილეობა მიიღონ ,,პალესტინის განთავისუფლებაში"

ისიც აღნიშნა, რომ აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად ებრაელების შეგონებით გამოაცხადაო.

— ისინი (ებრაელები) ცდილობენ საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს იუდეველები ხალხია. ასე არ არის!

კორესპონდენტის კითხვაზე: როგორი იქნება, თუ ერაყელების სახალხო დანაყოფები მიიღებენ მონაწილეობას ,,პალესტინის განთავისუფლებაში", აკლამ უპასუხა ამას მთელი პალესტინელი ხალხი მიესალმებაო.

— პალესტინელები ეძებენ იმათ, ვინც თავისი მიწის განთავისუფლებაში მიეხმარება. თუ ასეთი ვინმე გამოჩნდება, ყველა მათ დაუჭერს მხარს, რადგან ხალხი დაეძებს ახალ სალადინსა და ნაბუქოდონოსერს.

MIGNIUS.COM

„სურამული სიზმარ-ცხადი"-ს პრეზენტაცია თბილისში

25 მაისს ქართველ ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში გაიმართა ისრაელში ასული ქართველი ებრაელის ქ-ნ იზოლდა კრიხელის წიგნის - „სურამული სიზმარ-ცხადი"-ს პრეზენტაცია. 500-გვერდიანი წიგნი ავტორის უზარმაზარი შრომის შედეგია.

წიგნი დიდი რუდუნებითაა დაწერილი, მისი პირველივე სტრიქონებიდან გამოსჭვივის ის უდიდესი სითბო და სიყვარული, რაც ქ-ნ იზოლდას სურამთან აკავშირებს. და არა მხოლოდ სურამთან, არამედ სურამელებთან — სურამის ებრაულ თემსა და ქართველ მოსახლეობასთან,სადაც თანამედროვე მკითხველის წინაშე ავტორი აცოცხლებს მე-20 საუკუნეში სურამში ებრაელობის ცხოვრების ამსახველ ფაქტებსა და მოვლენებს,ფურცელ-ფურცელ იშლება გარდასულ დღეთა ისტორია, ბავშვობის მოგონებები,დიდი რაბინების, უბრალო ებრაელების, ქართველი მეზობლებისა და მეგობრების სურათები...

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003